ლიტერატურული პროექტი

„აირჩიე ჩემი წიგნი“

თანამედროვე სამყაროში მხატვრული ლიტერატურის კითხვა უფრო და უფრო ნაკლებად პოპულარული ხდება. გვესმის გამუდმებული ჩივილი, რომ ბავშვებს კითხვა აღარ უყვართ, გაჯეტებს ვერ სწყდებიან, უწიგნურები არიან და სხვა მრავალი. მდგომარეობას ისიც ამწვავებს, რომ კითხვა ხშირად დასჯის საშუალება უფროა, ვიდრე წახალისების. წინამდებარე სტატიის მიზანს ბავშვებისთვის კითხვის შეყვარების ერთი უცნაური და „უვალი“ გზის გაზიარება წარმოადგენს, რომელიც მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინე. მისი დაწერის ინსპირაციად ჩემი კოლეგისა და მეგობრის, ნინა ინაიშვილის, ძალიან საინტერესო ლიტერატურული პროექტი იქცა (http://mastsavlebeli.ge/?p=36201&fbclid=IwAR0Cwwyv5WmcX4plCKEFg5XbnDeUsvqNvscqz4rRWHZu5Z3uwc6wWSyz-ls). უსაყვარლესი ნინა მასწავლებლის ხსენებულ პროექტში პარალელური კლასის მოწაფეები წყვილებად ნაწილდებიან და კითხულობენ შერჩეულ წიგნებს, პროცესში კი კომენტარებს ტოვებენ მეწყვილისათვის. შედეგად, ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივი მოვლენა (წიგნის კითხვა) ნამდვილ ჯადოსნობად იქცევა და უამრავ სასარგებლო ჩვევასა და გამოცდილებას სძენას მონაწილეებს. ჩემი პროექტიც წიგნის კითხვის წასახალისებლადაა მოფიქრებული, თუმცა ცოტა განსხვავებული სახე აქვს.

ალბათ, დაკვირვებიხართ, სანამ მოსწავლეებს არდადეგებზე გავუშვებდეთ, მშობლები გამუდმებით გვთხოვენ წასაკითხი წიგნების ჩამონათვალს (განსაკუთრებით, მხედველობაში მყავს, დაწყებითი კლასები). რას აკეთებენ ამ დროს ბავშვები? საწყალი გამომეტყველებით დგანან და ყოველი ახალი ნაწარმოების დასახელებისას გული ელევათ. რადგან რაც უფრო ვრცელია წასაკითხი წიგნების სია, მით მოკლეა გართობისა და დასვენების დრო. ამიტომ კითხვაზე, „რას გვაძლევთ არდადეგებზე წასაკითხად?“ ყოველთვის ერთი პასუხი მაქვს: „არაფერს! მე _ არაფერს“. თუმცა სემესტრის გაცილების ტექსტში სასხვათაშორისოდ აუცილებლად ვახსენებ: „ბედნიერად დაისვენეთ, ბევრი იცელქეთ, ბევრი ითამაშეთ და წიგნის თაროებს უტრიალეთ ახლო-მახლო“. უკვე ყველამ იცის, ეს რასაც ნიშნავს. რომ დაბრუნდება _ ველოდებით. მეც და კლასიც. რაღაც საინტერესო აქვს მოსატანი. ოღონდ ჩემი დავალებული და შერჩეული კი არა, არამედ თვითონ რომ აუარ-ჩაუარა, რომ მოეწონა, რომ გადაშალა, რომ დაინტერესდა, რომ იმოგზაურა, იცინა, იტირა, ისიამოვნა და ახლა სხვებს უნდა „შეასაღოს“. უფრო გასაგებად რომ აგიხსნათ, აქტივობის შინაარსი ასე ჩამოყალიბდება:

არდადეგებზე ბავშვები ირჩევენ წაკითხული წიგნებიდან საუკეთესო ნაწარმოებსა და პერსონაჟს. სკოლაში დაბრუნების შემდეგ გამოეწყობიან ამ თავიანთი ფავორიტი პერსონაჟის ფორმაში და აკეთებენ წიგნის რეკლამას.

თითოეული მონაწილე გამოდის კლასის წინაშე, ხელში უჭირავს საყვარელი წიგნი და ცდილობს ისე მოაწონოს თანაკლასელებს, რომ რაც შეიძლება მეტი მკითხველი მოაგროვოს, უფრო ზუსტად, კონკრეტული წიგნის წაკითხვის მსურველი. რეკლამა-პრეზენტაციის დასრულების შემდეგ ეს ჩვენი პერსონაჟის ფორმაში გამოწყობილი გმირი ირჩევს სასურველ თანაკლასელს და მას სთხოვნის წიგნს. დროზეც თავად თანხმდებიან, რამდენ ხანში დაასრულებს კითხვას ახალი დროებითი მფლობელი. პროექტი სკოლაში დაბრუნებიდან ერთი კვირის განმავლობაში გრძელდება. რაც გვეხმარება, რომ სწავლის პროცესი სახელმძღვანელოში შემავალი პირველი ტექსტით კი არ დავიწყოთ (თქვენც დაკვირვებიხართ? თითქმის ყოველთვის ისეთი ნაწარმოებია შერჩეული ამ მნიშვნელოვანი მისიის შესასრულებლად, რომ უცილობლად გამოიწვიოს ბავშვის დემოტივაცია), არამედ ცოდნის შეძენის, ახალი თავგადასავლების ძიების, საინტერესო ამბების მოლოდინი შეექმნათ მოსწავლეებს. კვირეული გამოდის ძალიან ფერადი, ძალიან ხალისიანი და შინაარსიანი. თითოეული მონაწილე შეუზღუდავად ირჩევს წიგნის წარდგენის ფორმატს. მათ შეუძლიათ power point-ის პრეზენტაცია გააკეთონ, შეუძლიათ კედლის გაზეთი შექმნან, შეუძლიათ სპექტაკლიც კი დადგან. შთაბეჭდილების შესაქმნელად გთავაზობთ აქტივობის ამსახველ ფოტომასალას:


ჯ.კ. როულინგი
ჰარი ჰოფერი
და
ფილოსოფიური ქვა
RRY POTER


NIKE


წრიკვ
ბიჯის
დღიური



(რიგი მიზეზების გამო, ვერიდები ისეთი ფოტოების გამოყენებას, რომლებშიც მოსწავლეთა იდენტიფიცირებაა შესაძლებელი).

პროექტის განხორციელების შედეგად გავდივართ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების მიზნებზე,

კონკრეტულად კი, ისეთი გამჭოლი უნარებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებაზე, როგორებიცაა:

კომუნიკაცია _ განცდილის, ნააზრევის მიტანა მსმენელამდე/მკითხველამდე, მათზე შთაბეჭდილების მოხდენა; ინფორმაციის გაზიარება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი ვერბალური და არავერბალური საშუალებების გამოყენებით; სხვისი მოსმენისა და გაგების უნარი;

წიგნიერება _ ზეპირი და წერითი მეტყველების გზით ინფორმაციის მიღების, დამუშავების, გააზრების, სისტემაში მოყვანის, გაანალიზება-ინტერპრეტირებისა და წარდგენა-გაზიარების უნარი.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ჩემ მიერ გაზიარებული ლიტერატურული პროექტი კიდევ ერთი მცდელობაა მოსწავლის წიგნთან დაახლოვებისა. იმედი მაქვს, ეს სტატია შთაგობენის წყარო გახდება იმ თვალებანთებული მასწავლებლებისთვის, რომლებიც მუდმივად ახალ-ახალი, „უვალი“ გზების ძიებაში არიან.